

დაფინანსება, რეზერვ რელიგიური ორგანიზაციების კოლიზიკური ინსტრუმენტალიზების იარაღი

2020-2024 წლებში რელიგიური ორგანიზაციების
საბიუჯეტო დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

**დაფინანსება, როგორც რელიგიური ორგანიზაციების
პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების იარაღი:**

2020-2024 წლებში რელიგიური ორგანიზაციების საბიუჯეტო
დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი

თბილისი, 2025



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კვლევაზე პასუხისმგებელი პირები: თამთა მიქელაძე, ლევან ტალახაძე

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

ყდის დიზაინი: ანა მარწყვიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, “დაფინანსება, როგორც რელიგიური ორგანიზაციების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების იარაღი: 2020-2024 წლებში რელიგიური ორგანიზაციების საბიუჯეტო დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი” 2025

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია.....	5
რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელებისა და მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა.....	7
რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელები	7
რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელების სამართლებრივი ჩარჩო - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება	8
ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება	11
სეკულარიზმის სამართლებრივი პრინციპის მიმოხილვა	13
2020-2024 წლებში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსების ანალიზი	17
2020-2024 წლებში სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკა	17
2020- 2024 წლებში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსების მიმოხილვა	21
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება თბილისში	26
2020-2024 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებული დაწესებულებების დაფინანსების პრაქტიკის მიმოხილვა	30
2020-2024 წლებში ოთხი რელიგიური თემის დაფინანსების პრაქტიკის მიმოხილვა.....	33
ოთხი რელიგიურ გაერთიანების დაფინანსება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	33
2020-2024 წლებში ოთხი რელიგიურ გაერთიანების დაფინანსება სხვა საბიუჯეტო სახსრებიდან.....	37
დასკვნა	39

შესავალი

საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა, ყოველწლიურად, სეკულარიზმის, ნეიტრალურობისა და პლურალიზმის პრინციპების უგულებელყოფის და საბიუჯეტო რესურსების დისკრიმინაციული გადანაწილების ფონზე წარმართება, რაც საჯარო სახსრებსა და რესურსებზე რელიგიური ორგანიზაციების მკვეთრად ასიმეტრიულ წვდომას განაპირობებს.¹

წინამდებარე დოკუმენტი, 2020-2024 წლების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, მთავრობის განკარგულებებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციების შესწავლის გზით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და ოთხი რელიგიური გაერთიანების (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური-სამოციქულო ეკლესია) საბიუჯეტო დაფინანსების შესწავლასა და გადაცემული ფინანსური რესურსების ურთიერთშედარებას ისახავს მიზნად.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფო დაფინანსების ყველაზე დიდ წილს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები იღებენ. მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიური მზარდი დინამიკით ხასიათდება. საანგარიშო პერიოდში, იგი ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან და მთავრობის განკარგულებების საფუძველზე ჯამში, 283,312,365 ლარით დაფინანსდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების პირობების მიუხედავად, პრაქტიკაში მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსგან არა ზიანის ანაზღაურების ლოგიკით, არამედ პირდაპირი სუბსიდირების წესით ფინანსდება, რაც უხეშად არღვევს სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპს და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაუშვებელი ურთიერთდამოკიდებულების რისკებს რადიკალურად ზრდის.

ოთხი რელიგიური ორგანიზაციის მიერ მიღებული საბიუჯეტო სახსრების ოდენობა მცირეა და მართლმადიდებელი ეკლესიის ჯამურ დაფინანსებას ათჯერ ჩამორჩება. ბოლო ხუთ წელიწადში, ოთხივე რელიგიური გაერთიანებისათვის მხოლოდ **26,527,671** ლარი იქნა გათვალისწინებული. ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული სახსრებისგან განსხვავებით, სახელმწიფო დეტალურად აკონტროლებს ოთხი რელიგიური გაერთიანებისთვის გაცემული ფინანსების მიზნობრიობასა და ხარჯვას.

¹რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/YrmjxXp0>

კვლევის ფარგლებში, ასევე იგეგმებოდა, 2020-2024 წლებში, სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემული უძრავი ქონების ფაქტობრივი ანალიზიც. ამისთვის *სოციალური სამართლიანობის ცენტრმა*, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებით მიმართა და სეგრეგირებული მონაცემების მოწოდება სთხოვა სააგენტოს მიერ 2020-2024 წლებში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებზე/ადგილობრივ ეპარქიებსა და ინდივიდუალურ სასულიერო პირებზე გადაცემული უძრავი ქონების შესახებ. განცხადების პასუხად, სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო 2024 წლის 2 ოქტომბერს *სოციალური სამართლიანობის ცენტრს* საჯარო კორესპონდენციით გამოეხმაურა, რომელშიც 2020 წლის იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით, პირდაპირი მიყიდვის ფორმითა და უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული ქონების ნუსხაა მითითებული. თუმცა, სააგენტოს მიერ გამოგზავნილი ნუსხა არ აკონკრეტებდა უძრავი ქონების სახეს, მის დანიშნულებასა და მისი გადაცემის ფორმას. არასრულად მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტების მოთხოვნით, *სოციალური სამართლიანობის ცენტრმა* 2024 წლის 10 ოქტომბერს, სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ხელახლა მიმართა და რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემული ქონების ერთგვაროვანი, სეგრეგირებული სახით მოწოდება სთხოვა,² თუმცა სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ, ამ დრომდე არ უზრუნველყო მასზე დაკისრებული კანონისმიერი ვალდებულების შესრულება და მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გამოგზავნა, რის გამოც, რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემული უძრავი ქონების კვლევის მიზნებისათვის განაღლიზება ვერ მოხერხდა.

მეთოდოლოგია

ანგარიშის მომზადების პროცესში ემპირიული მასალის მოპოვებისა და დამუშავებისთვის გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტი, მათ შორის ძირითადად წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო დოკუმენტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ანგარიშების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, ცენტრალური და მუნიციპალური საბიუჯეტო კოდექსების და დადგენილებების,³

² *სოციალური სამართლიანობის ცენტრის* 2024 წლის 10 ოქტომბრის განცხადება N134868/ც, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ.

³ 2020-2024 წლებში 45 მუნიციპალიტეტისა და 4 თვითმმართველი ქალაქის მიერ გამოყოფილი თანხები დათვლილია, თითოეულ წელს, ყოველი მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული თანხების ჯამის მიხედვით- 1. ადიგენის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 70 86); 2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 06); 6. გორის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 03); 7. ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების შედეგებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი.

ამავდროულად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თვალსაზრისით სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა შეფასებულია ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 8. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 09); 9. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 10. ხონის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 06); 11. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 06); 13. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 07); 14. ვანის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 15. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 16. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 03); 17. ქარელის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 10); 18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 05); 19. დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 03); 20. კასპის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 21. წალკის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 03); 22. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 23. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 24. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 07); 25. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 26. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02); 27. სენაკის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 05); 28. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 03); 29. საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 30. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 03); 31. აბაშის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 32. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 7.8 4); 33. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 34. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 35. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 36. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 37. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 03); 38. ყვარლის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 03); 39. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (05 04); 40. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 03); 41. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (05 04); 42. ახალგორის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 43. ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 44. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 04); 45. აჭარის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები; 46. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 02 04); 47. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 7084); 48. ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 7084); 49. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები (პროგრამული კოდი: 05 03)

1. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელებისა და მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა

რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელი

საქართველოს საპატრიარქო და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები, 2002 წლიდან დღემდე, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად,⁴ რეგულარულად, არაერთი სახელმწიფო წყაროდან ფინანსდებიან, მათ შორის, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, ისე სხვადასხვა სამინისტროების მხრიდან. რუტინული დაფინანსების მიღმა, სახელმწიფო დაწესებულებები, საქართველოს მთავრობის განკარგულებებისა და დადგენილებების საფუძველზე, მართლმადიდებელ ეკლესიას რეგულარულად გადასცემენ სხვადასხვა სახის უძრავ და მოძრავ ქონებას. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო, როგორც წესი, არ ამოწმებს საპატრიარქოსთვის უძრავი და მოძრავი ქონების თუ ფინანსური სახსრების გადაცემის საჭიროებას და შემდგომში ამ სახსრების გამოყენების მიზნობრიობას.

2014 წლიდან, ოთხი რელიგიური გაერთიანება (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური-სამოციქულო ეკლესია) ასევე იღებს ყოველწლიურ სახელმწიფო დაფინანსებას, რომელთა დაფინანსების წესიც საქართველოს მთავრობის დადგენილებითაა განსაზღვრული. 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილების მიხედვით, საქართველოს მთავრობა აღიარებს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს და ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების წესს ადგენს⁵. თავის მხრივ, ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების ვალდებულება, ექსპლიციტურად მხოლოდ საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებითაა გათვალისწინებული და სხვა სამართლებრივ აქტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში, მათთვის დამატებითი ფინანსური სახსრები და მატერიალური სიკეთეები, პრაქტიკულად არ არის გათვალისწინებული.

⁴საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/friTybl6>.

⁵საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილება, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/EriTaWgO>.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო სრულად აკონტროლებს ოთხი არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მიზნობრიობასა და ხარჯვას, რაც რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიაში ჩარევის მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, უდავოა, რომ რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების არსებული მოდელები დისკრიმინაციულია და მართლმადიდებელი ეკლესიის ექსკლუზიური პრივილეგიების მიდგომას ეფუძნება.

რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული მოდელების სამართლებრივი ჩარჩო – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება

სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომელიც საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს,⁶ ეკლესიის სისტემური დაფინანსებისა და მისთვის სხვადასხვა სახის ბენეფიტების მინიჭების მთავარ სამართლებრივ საფუძვლებადაა მიჩნეული.

თავის მხრივ, კონსტიტუციური შეთანხმებით, ფორმალურად ხაზი ესმევა საპატრიარქოს დაფინანსების ლეგიტიმურობასა და საჭიროებაზე, რაც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს რელიგიური გაერთიანებებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსირების მიზნებითაა დასაბუთებული. კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის ვალდებულებას იღებს.“⁷ განსაკუთრებით საყურადღებოა, იმავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც მიუთითებს, რომ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონებისა და მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად, პარიტეტულ საწყისებზე, შესაბამისი კომისია უნდა შექმნილიყო, რომლის კანონისმიერ ვალდებულებადაც ამ პროცესების ზედამხედველობა და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება განისაზღვრა.⁸

⁶საქართველოს კონსტიტუცია, მე-8 მუხლი ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/nriDxQoZ>.

⁷კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი.

⁸იქვე, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის სისტემური ანალიზის მიხედვით 1-ელი პუნქტი, რომელიც ეკლესიის დაფინანსების წესს ადგენს, თვითშესრულებადი ნორმა არ არის. შესაბამისად, ეკლესიისათვის ზიანის ანაზღაურების დანაწესის გამოყენება, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კუმულატიური პროცედურების შესრულებასთან და ამ პროცესების ზედამხედველი კომისიის შექმნასა და მასზე დელეგირებული ფუნქციების განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, თავდაპირველად, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულება გამოიცა, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი ერთობლივი კომისია შეიქმნა.⁹

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით ნათლად იქნა განსაზღვრული კომისიის მანდატი და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები, რაც უმთავრესად, ეკლესიისთვის გადასაცემი კომპენსაციის ოდენობის, ფორმების, ვადების და სხვა წესების დადგენას გულისხმობდა, ერთობლივ კომისიას რეალურად არასდროს უმუშავია, არ მოუმზადებია რელევანტური ნორმატიული აქტების პროექტები და არც ეკლესიისათვის მიყენებული ზიანი შეუფასებია, რითაც იმთავითვე გამოირიცხა, ეკლესიის დაფინანსების გამჭვირვალე, სამართლიანი, და არაპრეფერენციული მოდელის შექმნის შესაძლებლობა.¹⁰

სწორედ არაეფექტიან კოორდინაციასა და სამუშაო პროცესზე მიუთითებს, რომ ერთობლივი კომისია 2012 წელს გაუქმდა¹¹ და მის ნაცვლად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისია შეიქმნა.¹²

2012 წელს სამთავრობო კომისიის დებულებით განისაზღვრა ახალშექმნილი კომისიის სტრუქტურა და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობები. სამთავრობო კომისიის მიერ რვა სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელთაგან ორ ჯგუფს, ქონებრივი საკითხების განხილვა, ეკლესიის ეკონომიკური საქმიანობისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა და XIX

⁹საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №1, 2003 წლის 7 იანვარი, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა შექმნის შესახებ, მე-5 ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Wri0hMDQ>.

¹⁰სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ერთობლივი კვლევა, „რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა“, 2016, გვ. 70, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Sri1KlaB>.

¹¹საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №125, 2012 წლის 21 თებერვალი, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/qri0xmBg>

¹²იქვე. მე-2 ნაწილი.

და XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის დადგენის საკითხებზე მუშაობა დაევალა.¹³

თუმცა, რეალურად არც აღნიშნულ სამუშაო ჯგუფებს უმუშავიათ და სამთავრობო კომისიას კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღია.¹⁴ ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისია, დეკლარაციულად დღესაც იმავე სახითა და მანდატით ფუნქციონირებს,¹⁵ რაც მიანიშნებს, რომ მისი შექმნიდან ცამეტი წლის თავზე, კომისიამ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და ეკლესიისათვის მიყენებული რეალური ზარალის დადგენა.

ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მიღებული სამართლებრივი აქტები, ისევე როგორც სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც, ეკლესიას საბიუჯეტო სახსრები გადაეცემა, უმეტესად არ მიუთითებს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მიზნებსა ან სხვა სამართლებრივი აქტების პირობებზე, რაც ცხადყოფს, რომ ეკლესიის დაფინანსება კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილი სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს მიღმა, მის საწინააღმდეგოდ ხორციელდება და იგი სახელმწიფოსგან ყოველწლიურად არა კომპენსაციას, არამედ პირდაპირ, დოტაციურ დაფინანსებას იღებს.

დამატებით, ბუნდოვანია, აქვს თუ არა სახელმწიფოს ნება, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველწლიური დაფინანსებისას, ეკლესიისათვის მიყენებული ზარალით იხელმძღვანელოს. ეკლესიის დაფინანსების ყოველწლიური პრაქტიკის დასაბუთებასა და მიზნობრიობაზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური პოზიციაა, რომ 2002 და შემდგომი წლების წლიური ბიუჯეტებიდან საქართველოს საპატრიარქოსთვის თანხის გამოყოფა, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით ხორციელდება,¹⁶ რაც მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის ოფიციალური შეფასებისა და კონკრეტული ნორმარტიული აქტების არარსებობის პირობებში, სამართლებრივად დაუსაბუთებელი და კონკრეტულ ნორმატიულ საფუძველს მოკლებულია.

ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო განცხადებებში აღნიშნავს, რომ ის დაფინანსებას ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის საფუძველზე იღებს.¹⁷ თუმცა,

¹³საქართველოს მთავრობის, დადგენილება № 63, 2012 წლის 21 თებერვალი, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ, I და II პუნქტები, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mri0Ieai>

¹⁴სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ერთობლივი კვლევა, „რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა“, 2016, გვ. 70

¹⁵საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ივნისის დადგენილება, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/jiri0G5YO>

¹⁶საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 18 აგვისტოს წერილი N14/87654

¹⁷ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Qri2ZjZa>

სახელმწიფოსა და ეკლესიის საჯარო პოზიციონირება რიგ შემთხვევაში, არაერთგვაროვანი და შეუჯერებელია. ამასთან, სამთავრობო კომისიების მიერ ათწლეულების განმავლობაში ვერ მოხერხდა ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის დადგენა, რაც მიუთითებს, რომ რეალურად ეკლესიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა საბიუჯეტო სახსრებიდან გადაცემული დაფინანსება სამართლებრივ და ფაქტობრივ კავშირში არ არის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მისთვის მიყენებულ ზიანთან. შესაბამისად, 2002 წლიდან დღემდე, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დაფინანსების გადაცემა ხორციელდებოდა კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩოს გაუთვალისწინებლად, მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების საფუძველზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისა და სეკულარიზმის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევის მაღალ რისკებს ქმნის.¹⁸

ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება

საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური გაერთიანებების კომპენსირების საჭიროება, სახელმწიფომ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ კონსტიტუციური შეთანხმებიდან 12 წლის შემდეგ აღიარა. 2014 წლიდან, ოთხი რელიგიური გაერთიანება (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური-სამოციქულო ეკლესია) ასევე იღებს სახელმწიფოს ყოველწლიურ დაფინანსებას, საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის სიმბოლური კომპენსირების მიზნით.

ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაა, რომლითაც, სახელმწიფომ, თანასწორობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად, ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების ვალდებულება აიღო.¹⁹ საყურადღებოა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული შეთანხმებისაგან განსხვავებით, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების შესახებ შემუშავებულ ოფიციალურ დოკუმენტში, ექსპლიციტურად იქნა აღნიშნული, რომ საბჭოთა

¹⁸სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ერთობლივი კვლევა, „რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა“, 2016, გვ. 72

¹⁹საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის № 117 დადგენილება, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/4rouhfjV>

რეჟიმის დროს, ამ ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზიანის ზუსტი ოდენობა უცნობია და ამდენად ზიანის ანაზღაურება სიმბოლურად განხორციელდება.²⁰

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის წინაშე საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ერთ-ერთი კომენტარის მიხედვით: „რელიგიური გაერთიანების დაფინანსება არ უნდა ჩაითვალოს მიყენებული ზიანისთვის ერთგვარ კომპენსაციად ან რესტიტუციად, არამედ ეს არის სიმბოლური დატვირთვის მატარებელი, ვინაიდან საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში მიყენებული ზარალი უცნობია. შესაბამისად, ფინანსური აქტივების რაოდენობის განსაზღვრისათვის საჭირო კრიტერიუმი ითვალისწინებს მოცემულ რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით არსებულ გარემოებებს.“²¹

საზოგადოდ, ზიანის ანაზღაურება კონკრეტული პირისათვის სამართლებრივად დაცული ინტერესის შელახვის გამოსწორებას ემსახურება, რისთვისაც აუცილებელია, წინასწარ იქნას განსაზღვრული კონკრეტული ისტორიული მოვლენებით დაზარალებულ პირთა წრე და ქმედებები, რომლებმაც უშუალოდ გამოიწვიეს ზიანი, ამასთან, კომპენსირების წესის, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის უმთავრესი ბაზისი, სწორედ მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენაა. აღნიშნული დადგენილება კი არც ერთ კუმულატიურ ელემენტს არ შეიცავს. სახელმწიფომ სიღრმისეულად არ შეისწავლა ყველა ის რელიგიური გაერთიანება, რომელთაც ზიანი საბჭოთა რეჟიმის დროს მიაღებათ, შესაბამისად, დაზარალებულ პირთა წრე ისტორიული კრიტერიუმების გვერდის ავლით, თვითნებურად შეირჩა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში ანალოგიურად იდევნებოდნენ სხვა რელიგიური ჯგუფებიც, (იეზიდები, ლუთერელები, კრიშნაიტები და სხვ.) შესაბამისად, დაზარალებულთაგან მხოლოდ ოთხი კონფესიის შერჩევა იმთავითვე დისკრიმინაციულ პოლიტიკას წარმოადგენდა.²²

ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორია ისიც, რომ მოქმედი მოწესრიგება სრულად ახდენს ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მიზნობრიობისა და ხარჯვის კონტროლს, რისი მანდატიც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქვს მინიჭებული.

თანხების გადაცემის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ოთხ რელიგიურ ორგანიზაციასთან ყოველწლიურად აფორმებს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც მათთვის კომპენსაციის სახით გადაცემული თანხების, წინასწარ, სააგენტოს მიერ დადგენილი მიზნობრიობისამებრ ხარჯვის ვალდებულებას ადგენს. მაგალითისათვის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მუსლიმ თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ 2020 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულების თანახმად: “წარმომადგენლობით საბჭოს ამ ხელშეკრულებით

²⁰იქვე. მე-2 მუხლის1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

²¹საქართველოს შესახებ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიშზე საქართველოს მთავრობის კომენტარები, 2016, გვ. 27, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Pri04P2J>.

²²ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში, გვ. 39, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Zroic3or>

განსაზღვრული თანხა გადაეცემა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის პროგრამის წარდგენის შემდეგ. ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და მისი განუყოფელი ნაწილია. წარმომადგენლობითი საბჭო ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ერთი კალენდარული თვის განმავლობაში, სააგენტოს წარუდგინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი პროგრამა. პროგრამა უნდა მოიცავდეს დეტალურ მონაცემებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანებისათვის გათვალისწინებული თანხების ოდენობის შესახებ.²³

ამასთან, ხელშეკრულებების თანახმად, თითოეული რელიგიური ორგანიზაცია ვალდებულია, ყოველი ჩარიცხვიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული თვის ვადაში წარმოადგინოს თანხის ხარჯვის შუალედური ანგარიში, ხოლო სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს წარმოდგენილი ანგარიშების აუდიტორული შემოწმება.²⁴

ვინაიდან ოთხი რელიგიური ორგანიზაციის ყოველწლიური დაფინანსების მიზნები საბჭოთა რეჟიმის მიერ მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის კომპენსაციის საჭიროებითაა ახსნილი, ბუნდოვანია, რა ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება კომპენსაციის სახით გაწეული ფინანსური დახმარების მიზნობრიობისა და ხარჯვის მკაცრი კონტროლი, რაც თავისთავად ბენეფიციარი ორგანიზაციების თავისუფლებასა და ავტონომიაში ჩარევას გულისხმობს. მაშინ, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაფორმებული შეთანხმება, კომპენსირების მიზნობრიობისა და ხარჯვის შემოწმების არც ერთ დათქმას არ ითვალისწინებს.

ცალსახაა, რომ დაფინანსების ეს პრაქტიკა, სახელმწიფოს არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის შესაძლებლობას აძლევს, ვინაიდან, მათთვის წლიურად გადასაცემი თანხების ოდენობასა და გახარჯვის ვადებს სრულად სააგენტო განსაზღვრავს, რაც სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული თანხების ხარჯვის შემამფოთებლად ინტენსიურ კონტროლს ითვალისწინებს და რელიგიური გაერთიანებების დამოუკიდებლობასა და ავტონომიაში ჩარევის მაღალ რისკებს შეიცავს.

სეკულარიზმის სამართლებრივი პრინციპის მიმოხილვა

სახელმწიფოს პირდაპირი ასოცირება რომელიმე რელიგიასთან იმთავითვე გამორიცხავს რელიგიის თავისუფლების დაცვისა და რელიგიებს შორის დისკრიმინაციის აკრძალვის გარანტიებს, ვინაიდან სახელმწიფოს პირველადი ფუნქცია მოქალაქეებისათვის ინკლუზიური

²³2020 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულება N1 ა/2020 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მუსლიმ თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ, მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი.

²⁴2020 წლის 22 იანვრის ხელშეკრულება N1/2020 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მუსლიმ თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ, მე-5 და მე-6 ნაწილები.

სივრცის შექმნა და უფლებების აღიარებითა და დაცვით ადამიანების თანაცხოვრების უზრუნველყოფა.²⁵

რელიგია და სახელმწიფო, საკუთარი ფუნქციების განხორციელების მიზნით მიმდევრებსა და მოქალაქეებს გარკვეულ ვალდებულებებს უწესებენ. თავის მხრივ, არსებობს ამ ვალდებულებებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობაც. სწორედ ამ ბუნებრივი მახასიათებლებისა და ურთიერთდამოკიდებულების გამო, მიღწეულია კონსენსუსი სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობაზე. სწორედ ასეთი გამიჯვნის ერთ-ერთი მოდელია სეკულარიზმის პრინციპი, რომელიც სახელმწიფოსა და რელიგიისათვის მათი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობის შექმნის ერთ-ერთი ბაზისური გარანტიაა.²⁶

სეკულარიზმის, როგორც რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში არსებული პრინციპის საყოველთაოება არაერთი საერთაშორისო და ეროვნული სამართლის წყაროთია განმტკიცებული.

თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუცია არ მოიცავს სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის შესახებ მკაფიოდ ფორმულირებულ შინაარსის ნორმებს, თუმცა კონსტიტუციის მე-8, მე-11 და მე-16 მუხლები, ადამიანის უფლებების, რელიგიის და რწმენის თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის ერთიანი კონსტიტუციური გარანტიების კონტექსტში, სრულად მოიაზრებს სეკულარობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს, რასაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც ადასტურებს. სასამართლო განმარტავს, რომ: „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან, აღნიშნული დანაწესი აღიარებს, საქართველოს საპატრიარქოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან, რითაც განამტკიცებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სეკულარიზმსა და ურთიერთ საქმეებში ჩაურევლობას, შესაბამისად, კონსტიტუცია მიზნად ისახავს, სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონალურ გამიჯვნას რელიგიური დაწესებულების საქმიანობიდან.“²⁷

სეკულარობის, ანუ საერო მმართველობის პრინციპი, არა მხოლოდ კონსტიტუციით, არამედ, სხვა ნორმატიული აქტებითაცაა განმტკიცებული. საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება საგანგებოდ ადგენს სეკულარობის დეფინიციას და განმარტავს, რომ: „სახელმწიფოს პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტები ერთმანეთისაგან ფუნქციურადაა გამიჯნული, ხოლო სახელმწიფოს მართვის პოლიტიკა თავისუფალია რელიგიური, განსაკუთრებით

²⁵სოციალური სამართლიანობის ცენტრის სტატია: „სეკულარიზმი: სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ჩარჩო“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/5rooPflO>

²⁶იქვე.

²⁷საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე: N1/1/618, II-10, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/BropFD18>

კონფესიური გავლენებისაგან, პირადი რელიგიური ცხოვრება და რელიგიური ჯგუფების საქმიანობა კი დაცულია სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევისგან.²⁸

მიუხედავად იმისა, რომ სეკულარობის პრინციპი ეროვნული კანონმდებლობით დეკლარაციულად აღიარებულია, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების არსებული პრაქტიკა ამ პრინციპის გამორიცხვისა და უგულბელყოფის გზით ხორციელდება.

საქართველოში მოქმედი პირდაპირი დაფინანსების მოდელის ფარგლებში, სახელმწიფო, ერთი მხრივ, კონკრეტული რელიგიური დაწესებულებების დოტაციური დაფინანსების გზით აშკარა რელიგიურ საქმიანობას ეწევა, მეორე მხრივ, კი გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებს, ფაქტობრივად აიძულებს, დააფინანსონ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების საფუძველზე შერჩეული რელიგიური ორგანიზაციები, მიუხედავად მოქალაქეების რწმენისა ან კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისა კონფესიური საქმიანობის დაფინანსების მიმართ, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება სეკულარობის პრინციპს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის პრეცედენტული გადაწყვეტილებებიც კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის სეკულარობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვის ვალდებულებას ადგენს, განმარტავს, რომ რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში ნებისმიერი სახის მარეგულირებელი უფლებამოსილების განხორციელებისას, სახელმწიფო ვალდებულია განუხრელად იცავდეს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.²⁹ ამასთან სასამართლოს მიდგომაა, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიური რწმენების ლეგიტიმურობის შეფასება ეწინააღმდეგება მისი ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებას, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოსაგან რელიგიური შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის უზრუნველყოფას მოითხოვს.³⁰ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების კონტექსტში, სეკულარობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობაზე მსჯელობისას, სასამართლო მიუთითებს, რომ რელიგიურ საზოგადოებებზე მინიჭებული საგადასახადო პრივილეგიები, ცალსახად ხელს უწყობს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობასა და მათ მიზნებს, ამრიგად, რესურსების გამოყოფისა და სხვადასხვა სახსრის მინიჭების პროცესში, სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით განმტკიცებული რელიგიის თავისუფლებით იბოჭება და ორგანიზაციების დაფინანსებისას ნეიტრალურობის დაცვის ვალდებულება ეკისრება.³¹ ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება და მათთვის, სხვადასხვა სახის შეღავათების მინიჭება, დაუშვებელია დისკრიმინაციულად ხორციელდებოდეს.³²

²⁸საქართველოს მთავრობის დადგენილება №200, საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

²⁹Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria, no. 40825/98, para. 97, 2008

³⁰Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, no.45701/99, para.123, 2002

³¹Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria, no. 40825/98, para. 92, 2008

³²E.B. v. France [GC], no. 43546/02, para. 48-49, 2008, and Savez crkava “Riječ života” and Others v. Croatia, no. 7798/08, para. 58, 2010

მნიშვნელოვანია, რომ ევროპული სასამართლო რელიგიური ორგანიზაციის მიერ კონფესიური და საჯარო ფუნქციების შესრულებას მკაფიოდ მიჯნავს და მოქალაქეების დაბეგვრას ისეთი ხარჯებისათვის, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციის მიერ არაკონფესიური ფუნქციების შესრულებას ემსახურება, დაუშვებლად მიიჩნევს.³³

მსგავს მიდგომებს იზიარებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც, რომლის მე-18 მუხლი რელიგიის თავისუფლების ფარგლებს განსაზღვრავს.³⁴ რელიგიის თავისუფლების კონტექსტში აღნიშნულია, რომ რელიგიის სახელმწიფო და ტრადიციულ დონეზე აღიარება, ანდა ფაქტი, რომ კონკრეტული აღმსარებლობის მიმდევრები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნების დარღვევის საფუძველი არ უნდა გახდეს.³⁵

ამრიგად, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, დაუშვებელია, სახელმწიფო გარკვეულ რელიგიურ ჯგუფთან პირდაპირ ასოცირდებოდეს და ამით მის გავლენას ერთი რელიგიური ორგანიზაციის მხარდასაჭერად მიმართავდეს. ამასთან, სახელმწიფო ძალაუფლება არ უნდა გამოიყენებოდეს რელიგიების დასაკნინებლად ანდა მათ გასაძლიერებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, რელიგიური ორგანიზაციის სახელმწიფო პოლიტიკაში ჩარევის მომეტებული რისკები წარმოიქმნება, მეორე მხრივ კი რელიგიური ორგანიზაციის ეკონომიკური დამოკიდებულების შემთხვევაში, იზრდება სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიაში ჩარევის საფრთხე.

დღესდღეობით, საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ რეგულაციას და მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. იგი პირდაპირი, არასეკულარული დაფინანსების მოდელადაა ჩამოყალიბებული, რაც შესაძლოა, სახელმწიფოს მიერ კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციების ლოიალობის მოსაპოვებლად იქნას გამოყენებული.

³³Bruno v. Sweden

³⁴საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-18 მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/grozYRi1>

³⁵CCPR General Comment No.22, Article 18 (Freedom of Thought, Conscience or Religion), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/srozDfDE>

2. 2020-2024 წლებში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსების ანალიზი

2020-2024 წლებში სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკა

საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2020-2024 წლებში, ყოველწლიური ტრანსფერის სახით, საშუალოდ 25 მილიონი ლარი გადაეცემოდა.

ბოლო წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების ანალიზი ცხადყოფს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ყოველწლიური 25 მილიონი ლარის ადრესატები, ძირითადად საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიაა.


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონები პირდაპირ უთითებს საპატრიარქოს დაფინანსების კონფესიურ მიზნებზე: „ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში) საქართველოს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის (სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება.“³⁶ რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების კანონით განსაზღვრული ეს მიზანი იმთავითვე არასეკულარული და არასაეროა და რელიგიურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის არალეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს.

³⁶საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი, 8.7 პუნქტი, პროგრამული კოდი 45 00, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/2robBAuI>

საქართველოს 2020-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით:³⁷

აღნიშნული მიზნებისათვის, 2020-2024 წლებში საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში, 124,926,800 ლარი გადაეცათ.

2020-2024 წლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პრაქტიკა



დანართი №1

თავის მხრივ, ყოველწლიური 25 მილიონიანი საბიუჯეტო დაფინანსების მიმღებ 13 სუბიექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი ექსპლიციტურად ჩამოთვლის.³⁸ საბიუჯეტო დაფინანსების მიმღებ დანარჩენ სუბიექტებს კი სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტის ფარგლებში, საქართველოს საპატრიარქო თავისი შეხედულებისამებრ ადგენს.

³⁷ცენტრალური ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული თანხის 2020 და 2021 წლის ფაქტები, ხელმისაწვდომია, საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, პროგრამული კოდი: 45 00, <https://cutt.ly/IromgKyL>

ცენტრალური ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული თანხის 2022 წლის ფაქტი, ხელმისაწვდომია, საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, პროგრამული კოდი: 45 00, <https://cutt.ly/sromkvbyb>


ცენტრალური ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული თანხის 2023 წლის ფაქტი და 2024 წლის გეგმა, ხელმისაწვდომია, საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, პროგრამული კოდი: 45 00, <https://cutt.ly/kromlOm8>

³⁸იქვე.

2020-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების მიხედვით, საპატრიარქოსათვის გამოყოფილი ყოველწლიური 25 მილიონიანი დაფინანსებიდან ყველაზე დიდი ოდენობის თანხა სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტისთვის იქნა გათვალისწინებული, რომლითაც, თითოეულ წელს, საპატრიარქოს მიერ შერჩეული 60-მდე ორგანიზაცია დაფინანსდა.

როგორც საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური განმარტავს, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების 90% განათლების სფეროსათვის იხარჯება. მათი თქმით, ხარჯვის პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება.³⁹ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების მიმღები სუბიექტები კანონითაა განსაზღვრული, თანხების გახარჯვის მიზნობრიობის დადგენა კვლავ შეუძლებელია.

2020-2024 წლების ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება და მისი ადრესატები



დანართი №2

მაგალითისათვის, საპატრიარქოს ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატს, ბოლო ხუთ წელიწადში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 3,425, 000 ლარი გადაეცა, მაშინ როდესაც, ნინოწმინდის პანსიონი წლებია მიღევად რეჟიმში ფუნქციონირებს. ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის

³⁹ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/CromUjtH>

მონაცემებით, ნინოწმინდის პანსიონში 15 არასრულწლოვანი ირიცხებოდა,⁴⁰ 2023 წელს კი, დაწესებულებაში მხოლოდ 9 აღსაზრდელი იყო განთავსებული.⁴¹ ამასთან, ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებათა სისტემური დარღვევების, არასრულწლოვანთა მიმართ წლების მანძილზე დამამცირებელი, არაადამიანური და წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობის გამო,⁴² დიდი ხანია მიღწეულია უწყებათაშორისი კონსენსუსი, მისი დეინსტიტუციონალიზებისა და იქ მყოფი აღსაზრდელებისათვის მინდობით აღზრდის სერვისის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ,⁴³ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო კვლავ აგრძელებს დაწესებულების რუტინულ დაფინანსებას, რაც მის ლეგიტიმურობასა და მიზნობრივ ხარჯვას ეჭვქვეშ აყენებს.

მნიშვნელოვანია, რომ ნინოწმინდის პანსიონში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 2021 წლის გახმაურებული მოვლენების კვალდაკვალ იქნა გასაჯაროებული, მას შემდეგ, რაც 2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს საქართველოს საპატრიარქოს ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა არ მიეცათ. ამ ინფორმაციის გასაჯაროების პარალელურად კი, პანსიონის ყოფილმა აღსაზრდელებმა სხვადასხვა მედიასაშუალებით, ღიად ისაუბრეს არასრულწლოვანი ბენეფიციარების მიმართ პანსიონის აღმზრდელების მხრიდან ჩადენილი ძალადობის ფაქტების შესახებ.

ნინოწმინდის პანსიონისაგან განსხვავებით, საპატრიარქოს სხვა დაწესებულებების სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც შეუძლებელს ხდის დაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობის ფარგლების დადგენას, მნიშვნელოვნად ზრდის ანგარიშვალდებულების უგულებელყოფის რისკებს და გამორიცხავს საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობებს.

⁴⁰ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, გვ. 35, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/IrpzbbDR>

⁴¹საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ.287, იხილეთ სქოლიო N954, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/nrpzWgiS>

⁴²UN committee, „Georgia failed to protect children against violence and abuse in church-run orphanage“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/MrmjbK2Y>

⁴³ იქვე.


2020-2024 წლებში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსების მიმოხილვა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ცენტრალურ ბიუჯეტთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობებისგანაც უწყვეტად და მზარდად ფინანსდება. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი დაფინანსებაც, ცენტრალური ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის სუბსიდირების მსგავსად, გაუმჭვირვალე და არასეკულარულია, უმეტეს შემთხვევაში უცნობია დაფინანსების მიზანი და მისი ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

2020-2024 წლებში 45 მუნიციპალიტეტმა და ოთხმა თვითმმართველმა ქალაქმა (თბილისის გამოკლებით), მართლმადიდებელი ეკლესია ჯამში 28,319,430 ლარით დააფინანსა.

64 მუნიციპალიტეტისა და 4 თვითმმართველი ქალაქის (თბილისის გამოკლებით) 2020-2024 წლების ბიუჯეტების მიხედვით, 45 მუნიციპალიტეტი და ოთხივე თვითმმართველი ქალაქი ადგილობრივი ბიუჯეტებით ყოველწლიურად აფინანსებდა მართლმადიდებელ ეკლესიას. მხოლოდ ცხრაშვილი ისეთი მუნიციპალიტეტი, რომელსაც ბოლო ხუთ წელში საპატრიარქოსათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება არ გამოუყვია.

2020-2024 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების ანალიზი




2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტებიდან საპატრიარქოს 4,355,877 ლარი გადაეცა, 2021 წელს კი 5,233,556 ლარი. 2022 წელს თანხა ისევ გაიზარდა და მუნიციპალიტეტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესია 5,489,412 ლარით დაფინანსდა. 2023 წლისათვის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მუნიციპალიტეტებმა 6,126,274 ლარი გამოყვეს. 2024 წლის მუნიციპალური საბიუჯეტო გეგმებისა და დადგენილებების მიხედვით კი ეკლესიის დაფინანსება უპრეცედენტოდ იქნა გაზრდილი და ჯამში 7,114,309 ლარი იქნა გამოყოფილი.

საგულისხმოა, რომ 2020-2024 წლებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ გადაცემული დაფინანსება თანდათანობით იზრდებოდა – 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს საპატრიარქოსათვის გამოყოფილი სახსრები 20%-ით გაიზარდა. 2022 წლის ბიუჯეტებში, 2021 წელთან შედარებით, 5%-ით მეტი დაფინანსება იქნა გათვალისწინებული. 2023 წლის მონაცემების მიხედვით, საპატრიარქოს 2022 წელს გამოყოფილ თანხებზე 12%-ით მეტი დაფინანსება გადაეცა.

ხოლო 2024 წლის საბიუჯეტო გეგმების მიხედვით, საპატრიარქოს დაფინანსება, 2023 წელთან შედარებით, 16%-ითაა გაზრდილი, რაც საბოლოოდ გულისხმობს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან საპატრიარქოს დაფინანსება 2024 წელს, 2020 წელთან შედარებით, 63%-ით გაიზარდა.

2020-2024 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან საპატრიარქოს დაფინანსების პროცენტული ზრდა



ნიშანდობლივია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მოცულობა განსაკუთრებით დიდია იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია. მაგალითისათვის, 2020-2024 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტმა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას 2,300,000 ლარი გადასცა.⁴⁴ მარნეულის მსგავსად, გამორჩეულად დიდ დაფინანსებას გამოყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტიც, რომელმაც ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბოლო ხუთ წელიწადში, 1,824,000 ლარი გასცა.⁴⁵ ახალციხის მუნიციპალიტეტმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესიებისა და მონასტრების მისასვლელი გზების რეაბილიტაციისა და კულტურული ძეგლების მოწყობის მიზნებისათვის, 2020-2024 წლებში, 962,000 ლარი გამოყო.⁴⁶

⁴⁴2020 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტმა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას 400,000 ლარი გადასცა, იხილეთ, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი: 050204, ბ.დ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Yra3HQgp>; 2021 წელს 500,000 ლარი იხილეთ, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი: 050204, ბ.დ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/rra31VG5>; 2022 წელს 500,000 ლარი, იხილეთ, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი: 050204, ბ.დ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mra39ibV>; 2023 წელს 450,000 ლარი, იხილეთ მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი: 050204, ბ.დ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Cra33gy3>; 2024 წელს კი მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიას 450,000 ლარი გადაეცა, იხილეთ მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი: 050204, ბ.დ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kra38Rzi>

⁴⁵2020 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ბოლნისის ეპარქიას 300,000 ლარი გადასცა, იხილეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 05 04, 2020 წლის ფაქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Zra8pIdt>; 2021 წელს-360,000 ლარი, იქვე. 2022 წელს, 360,000 ლარი, იხილეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 05 04, 2022 წლის ფაქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Nra8sfCi>; 2023 წელს, 360,000 ლარი, იხილეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 05 04, 2023 წლის ფაქტი; ხოლო 2024 წელს, 444,000 ლარი, იხილეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 05 04, 2024 წლის ფაქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6ra8dAl0>

⁴⁶2020 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის 160 000 ლარი გამოყო, იხილეთ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 05 02 09, 2020 წლის ფაქტი ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/kra8hNNs>; 2021 წელს- 100,000 ლარი, იქვე, 2021 წლის ფაქტი. 2022 წელს, 170,000 ლარი, იხილეთ ახალციხის 2023 წლის ბიუჯეტი, პროგრამული კოდი 05 02 09, 2022 წლის ფაქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/yra8ks8I>; 2023 წელს 200, 000 ლარი, იხილეთ, 2024 წლის ბიუჯეტი, 2023 წლის ფაქტი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6ra8lqIC>, 2024 წელს 332,000 ლარი, იქვე. 2024 წლის გეგმა.

2020-2024 წლებში მარნეულის, ბოლნისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხები

წელი	მარნეული	ბოლნისი	ახალციხე
2020	400,000 ლარი	300,000 ლარი	160,000 ლარი
2021	500,000 ლარი	360,000 ლარი	100,000 ლარი
2022	500,000 ლარი	360,000 ლარი	170,000 ლარი
2023	450,000 ლარი	360,000 ლარი	200,000 ლარი
2024	450,000 ლარი	444,000 ლარი	332,000 ლარი

დანართი №5


ამავდროულად, პარადოქსულია, რომ ისეთი ქალაქები, როგორებიცაა მცხეთა, მესტია და თელავი, სადაც ისტორიული მნიშვნელობის მქონე ქრისტიანული სამლოცველოები და საკულტო ნაგებობებია განთავსებული, მუნიციპალური ბიუჯეტებიდან ადგილობრივ ეპარქიებს არ აფინანსებენ,⁴⁷ მაშინ, როდესაც რელიგიური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტები, მართლმადიდებელი ეკლესიის სრული მუნიციპალური დაფინანსების ყველაზე დიდ წილს გასცემენ.

რელიგიური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების გარდა, 2020-2024 წლებში მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ყველაზე დიდ სახსრებს შემდეგი მუნიციპალიტეტები გამოყოფდნენ: ბორჯომი – 1,310,000 ლარი; სამტრედია – 1,310,000 ლარი; გორი – 1,273,200 ლარი; ჭიათურა – 1,050,000 ლარი; ბათუმი – 946,800 ლარი; ქუთაისი – 912,400; ზესტაფონი – 825,000 ლარი; ხონი – 787,000 ლარი; ასპინძა – 706,600 ლარი; ზუგდიდი – 680,000 ლარი.

თვითმმართველი თემებისა და ქალაქების ბიუჯეტები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიებისა და ეკლესიების დაფინანსებას კონკრეტული პროგრამების მიხედვით ითვალისწინებს.

⁴⁷მცხეთის, მესტიისა და თელავის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზის მიხედვით, ადგილობრივ ეპარქიებზე, 2020-2024 წლებში თანხა არ გადაცემულა.

რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მიზნობრიობა



დანართი №6

ქვეპროგრამებს სპეციალური დასახელება და პროგრამული კოდები აქვს. უმეტეს შემთხვევაში, საბიუჯეტო დადგენილებებში რელიგიური ორგანიზაციების ნაცვლად, პირდაპირ მითითებულია ეკლესიების დაფინანსების მიზანი ანდა დაფინანსების მიმღები კონკრეტული ეპარქია. თუმცა, საპატრიარქოს სუბსიდირება ზოგიერთი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში (მაგალითად, ადიგენის მუნიციპალიტეტი) ინტეგრირებულია იმგვარი ზოგადი შინაარსის პროგრამებში, როგორიცაა, „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი“, „რელიგიური და სხვა სახის საქმიანობა“, „დასვენება, კულტურა და რელიგია“. ქვეპროგრამების განუჭვრეტადი შინაარსი, კონკრეტული რელიგიური კონფესიისათვის გამოყოფილი დაფინანსების ზუსტ დადგენას შეუძლებელს ხდის.

თუმცა, 50 მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კოდექსის შესწავლითა და მათი სისტემური ანალიზით, ცხადდება, რომ თითოეული ბუნდოვანი პროგრამული დასახელების მიღმა, არა რომელიმე რელიგიური უმცირესობის, არამედ სწორედ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის დაფინანსების მიზანია გათვალისწინებული – 50 მუნიციპალიტეტის ბოლო ხუთი წლის საბიუჯეტო კოდექსებიდან, მხოლოდ ერთ მათგანში, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტშია სხვა რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების საჭიროება დეკლარაციულად გაწერილი.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მუნიციპალური დაფინანსება თბილისში

იმ 50 მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საბიუჯეტო კოდექსებსა და დადგენილებებში ყოველწლიურად ითვალისწინებდა მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადასაცემ თანხებს, დედაქალაქის წილი ყველაზე დიდია.

საგულისხმოა, რომ ქალაქ თბილისის 2020-2024 წლების საბიუჯეტო დადგენილებებში, რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემული დაფინანსება არასეგრეგირებული სახითაა გაწერილი და გაერთიანებულია იმგვარი ბუნდოვანი დასახელების მქონე ერთიან პროგრამებში, როგორიცაა, „დასვენება, კულტურა და რელიგია“ და „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში“,⁴⁸ რაც კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციისათვის გადაცემული საბიუჯეტო დაფინანსების დაანგარიშების შესაძლებლობას იმთავითვე გამორიცხავს,

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, რელიგიური ორგანიზაციებისთვის თანხის გადაცემის შესახებ დაზუსტებული მონაცემების მოძიების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა და 2020-2024 წლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ რელიგიური ორგანიზაციების, ადგილობრივი ეპარქიებისა და ინდივიდუალური სასულიერო პირებისათვის გადაცემული თანხების შესახებ ინფორმაციის მოწოდება კანონით განსაზღვრული წესისამებრ სთხოვა.⁴⁹ თავის მხრივ, თბილისის მერიის მიერ მოწოდებული განმარტების მიხედვით, რელიგიური ორგანიზაციებისათვის გადაცემული თანხების შესახებ მონაცემები სეგრეგირებულად არ მუშავდება, რის გამოც, *სოციალური სამართლიანობის ცენტრს*, საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე უარი ეთქვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე, სხვადასხვა დანართის სახით, ყოველწლიურად ქვეყნდება ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამების აღწერილობა და საბიუჯეტო გეგმების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, რომელთა სისტემური ანალიზის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა ყოველწლიურად თბილისის მერიის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გამოყოფილი დაფინანსების დათვლა. თუმცა, ეს მონაცემები საბიუჯეტო გეგმებია და არ ასახავს ადგილობრივი ეპარქიებისათვის გადაცემული თანხების ფაქტებს. ამრიგად, ამ თავში

⁴⁸ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №33-89 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, პროგრამა 708 და ქვეპროგრამა 7086, ხელმისაწვდომია:

<https://cutt.ly/3rshLUog>

⁴⁹სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება №გ01/397-07.10.2024, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ

წარმოდგენილი მონაცემები, ადგილობრივი ეპარქიებისათვის გადასაცემი თანხების გეგმებს ეყრდნობა და არ წარმოადგენს საბიუჯეტო ფაქტებს.⁵⁰

ხაზგასასმელია, რომ ბიუჯეტების პროექტებში რელიგიური ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ მითითებული ინფორმაცია, უმეტესად სიტყვით მიაწოდებს, რომ საბიუჯეტო დაფინანსების ადრესატი ექსკლუზიურად მართლმადიდებელი ეკლესიაა. გლდანის, ნაძალადევისა და დიდუბის რაიონების შემთხვევაში, პროგრამის კატეგორიაში პირდაპირაა მითითებული „ეკლესიების ფინანსური დახმარება“. ჩუღურეთის, ვაკის, საბურთალოს, ისნის, სამგორის, კრწანისისა და მთაწმინდის რაიონების სექციებში შესაბამისი პროგრამის კატეგორიის სახელია „ეკლესიების და სხვა რელიგიური დაწესებულებების დახმარება“, თუმცა სხვა რელიგიური დაწესებულებების დახმარების კონტექსტში, საბიუჯეტო გეგმა ამ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს არ ჩამოთვლის და არც მათთვის გამოყოფილ სახსრებს აკონკრეტებს. გამოწვევას, საბურთალოს რაიონი, რომლის ბიუჯეტის პროექტშიც, ყოველწლიურადაა აღნიშნული, რომ რაიონის ტერიტორიაზე მუსლიმთა სამლოცველო სახლი მდებარეობს, რომელიც მიმართვის შემთხვევაში 10,000 ლარით დაფინანსდება. თუმცა 2020-2024 წლების თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველწლიური შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ დანართებში არც ერთხელ არ არის აღნიშნული მუსლიმთა სამლოცველო სახლის მუნიციპალური დაფინანსების ფაქტი.

⁵⁰ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მართლმადიდებელი ეკლესიებისათვის გადაცემული თანხების შესახებ დაზუსტებულ მონაცემებს ასევე არ უთითებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველწლიური შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ დანართებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტებით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიხედვით, 2020-2024 წლებში თბილისის ათმა რაიონულმა გამგეობამ მართლმადიდებელ ეკლესიებს მთლიანობაში 7,280,853 ლარი გამოუყო.

თბილისის მერიის მიერ, ეკლესიებისათვის გადაცემული ბოლო ხუთი წლის დაფინანსება წლების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული – 2020 წელი – 1,710,000 ლარი;⁵¹ 2021წელი – 1,580,000 ლარი;⁵² 2022 წელი – 1,350,000 ლარი;⁵³ 2023 წელი – 1,310,000 ლარი; ⁵⁴2024 წელი – 1,330,853 ლარი.⁵⁵

ნიშანდობლივია, რომ ეკლესიებისათვის ყველაზე დიდი დაფინანსება 1,710,000 ლარი, 2020 წელს, პანდემიის დროს იქნა გამოყოფილი.⁵⁶ ამასთან, თითოეულ რაიონში მდებარე ყოველი დასაფინანსებელი ეკლესიისათვის საშუალოდ 10,000 ლარი იქნა გათვალისწინებული. ამრიგად 2020 წლის საბიუჯეტო გეგმით გამოყოფილი 1,710,000 ლარი საბოლოოდ 171 ეკლესიაზე გადანაწილდა. ⁵⁷

⁵¹ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Orsk8BNC>

⁵²ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები.

⁵³ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები.


⁵⁴ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები.

⁵⁵ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები.

⁵⁶ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები.

⁵⁷იქვე.

მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით



დანართი №7

2020 წელთან შედარებით, 2021 წლისათვის, ეკლესიის დაფინანსება 7.6%-ით შემცირდა და 1,580,000 ლარი შეადგინა.⁵⁸ 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც, თითოეული ეკლესიისათვის 10,000 ლარი გამოიყო და შესაბამისად, ჯამში 158 ეკლესია დაფინანსდა.⁵⁹ დაფინანსების ყველაზე დიდი წილი, 2021 წელსაც, სამგორის, მთაწმინდისა და ვაკის რაიონების მიერ გაღებული სახსრებისაგან შედგებოდა.

2022, წელს, თბილისის მუნიციპალიტეტის ათმა რაიონმა ადგილობრივი ეკლესიებისათვის 1,350,000 ლარი გამოყო, ⁶⁰ რაც 2021 წლის დაფინანსებასთან შედარებით 14.56%-ით ნაკლებია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, აღნიშნული ფინანსები 135 ეკლესიაზე გადანაწილდა და თითოეულისათვის 10,000 ლარი იქნა გათვალისწინებული.⁶¹

⁵⁸ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1.

⁶¹იქვე.

2023 წლის მონაცემებით, დაფინანსებული ეკლესიების რაოდენობა კიდევ შემცირდა. 131 ეკლესიას 1,310,000 ლარი გაუნაწილდა და თითოეულ მათგანს კვლავ 10,000 ლარი ერგო.⁶² სხვა წლების მსგავსად, 2023 წელსაც ყველაზე დიდი დაფინანსება, სამგორისა და ვაკის რაიონის ეკლესიებისათვის გამოიყო.⁶³

საგულისხმოა, რომ 2020 წლის შემდგომ, სამი წლის განმავლობაში, 2021, 2022 და 2023 წლებში თბილისის საბიუჯეტო პროექტებით ეკლესიისათვის გადაცემული თანხები ეტაპობრივად მცირდებოდა, 2024 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში, ეკლესიების დაფინანსება გაიზარდა (2023 წელთან მიმართებით) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით თბილისში მდებარე ეკლესიებისათვის 1,330,853 ლარი იქნა გათვალისწინებული.⁶⁴

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამგებების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ქალაქის ბიუჯეტის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაშია გათვალისწინებული და „ფინანსურ დახმარებადაა“ კლასიფიცირებული,⁶⁵ თუმცა საბიუჯეტო პროექტებსა და ბიუჯეტის ყოველწლიური შესრულების კვარტალური მიმოხილვის დოკუმენტებში, დაკონკრეტებული არ არის, თუ რა მიზნებისთვის გაიცემა აღნიშნული თანხა, რაც სახელმწიფოსაგან მართლმადიდებელი ეკლესიის არამიზნობრივი, პირდაპირი დაფინანსების წესით სუბსიდირების პრაქტიკაზე მიანიშნებს.

2020-2024 წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებული დაწესებულებების დაფინანსების პრაქტიკის მიმოხილვა

მზარდია საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოსა და მის მიერ დაფუძნებული სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების ტენდენციაც.

2020-2024 წლებში, საპატრიარქო, საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, ჯამში **122,785,284** ლარით დაფინანსდა. ამ დაფინანსებიდან, 12,500,000 ლარი გელათის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო მიზნებისთვის იქნა გამოყოფილი, ხოლო 110,285,284 ლარი საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების დასაფინანსებლად.

⁶²ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1.

⁶³იქვე.

⁶⁴ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1.

⁶⁵ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტების პროექტებით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1.

აღსანიშნავია, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო და სარეკონსტრუქციო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, 2023-2024 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 12,500,000 ლარი პირდაპირ საპატრიარქოს გადაეცა.⁶⁶

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების საფუძველზე.⁶⁷

სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი და მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლები, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და საქველმოქმედო ფონდები, 2020-2024 წლებში ჯამში 110,285,284 ლარით დაფინანსდა.

„საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ზოგიერთი დაწესებულებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განკარგულებების საფუძველზე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დადგენილი პროგრამიდან „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხარდაჭერა“, საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების მიზნებისათვის, ასიგნებების ყოველწლიური მიმართვა ევალებოდა. განკარგულებებში ასევე მითითებულია საქართველოს საპატრიარქოს ქვეშ მოქმედი სასწავლო დაწესებულებების სია და მათი ანგარიშები, სადაც შესაბამისი თანხები ინდივიდუალურად ირიცხებოდა.⁶⁸

2020 წლის მონაცემებით, მთავრობის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში და მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლები, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და ფონდები 5,169,165 ლარით დაფინანსდა. 2021 წლისათვის აღნიშნული დაფინანსება გაიზარდა და საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ სასწავლო დაწესებულებებს 7,159,982 ლარი გადაეცათ. 2022 წელს, ამ დაწესებულებებისათვის გადაცემული დაფინანსება


⁶⁶საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის 3 დეკემბრის კორესპონდენცია №00041929. კორესპონდენციის მიხედვით: „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა (შემდგომ - სააგენტო) და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2023 წლის 06 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გელათის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო, სარეკონსტრუქციო და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, სააგენტოს მიერ გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტს 2023 წელს გადაეცა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, ხოლო 2024 წელს 11 500 000 (თერთმეტი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რომელიც გამოიყო საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.“

⁶⁷საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კორესპონდენცია №GOV 9 25 00007036.

⁶⁸საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 მარტის განკარგულება N375, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/hrsRmN7G>, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის განკარგულება N461.

რეკორდულად გაიზარდა და 29,625,924 ლარს მიაღწია. 2023 წელს – 33,350,213 ლარი, ხოლო 2024 წლის განკარგულების მიხედვით, საპატრიარქოს დაწესებულებებს 35,000,000 ლარი გადაეცათ.⁶⁹

2020-2024 წლებში საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლო დაწესებულებებისა და ფონდების დაფინანსება



დანართი №8

საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების ეს პრაქტიკა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებებისა და საპარლამენტო განხილვების გვერდის ავლით, სრულად მთავრობის განკარგულებების საფუძველზე ხორციელდება, რაც შეუსაბამო სამართლებრივი ფორმაა და პრაქტიკაში, თანასწორობისა და რელიგიის თავისუფლებაში თვითნებური ჩარევის მაღალ რისკებს ატარებს.

ასევე ბუნდოვანია, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მოქმედი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსების ლეგიტიმური მიზნები და აუცილებლობა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მათ შინაარსებზე სახელმწიფო კონტროლის შესაძლებლობა პრაქტიკულად მინიმალურია და ამგვარი სასწავლებლები, უმეტესად ვიწრო კონფესიურ სწავლებას ეწევიან.

საინტერესოა, რომ დასაფინანსებელ 50-მდე დაწესებულების ჩამონათვალშია თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, საპატრიარქოს სკოლები (გიმნაზიები), სკოლა-ინტერნატები, პროფესიული კოლეჯები და სხვა, თუმცა, მთავრობის განკარგულებების მიხედვით, დაფინანსების ყველაზე დიდი წილი საპატრიარქოს ფონდებისაკენ მიემართება. მაგალითისათვის, 2024 წელს გამოყოფილი 35 მილიონიდან ყველაზე დიდი ოდენობის თანხა,

⁶⁹საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კორესპონდენცია № GOV 9 25 00007036.

22 მილიონ ლარზე მეტი ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს განათლებისა და კულტურის ღონისძიებების განვითარების ფონდისთვის“ იქნა გათვალისწინებული.⁷⁰ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ორგანიზაცია საქართველოს საპატრიარქომ 2022 წლის 5 აგვისტოს დააფუძნა, მის იურიდიულ მისამართად, საპატრიარქოს შენობაა მითითებული, ხოლო ფონდის დირექტორად კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით, საპატრიარქოს თანამშრომელია დანიშნული.⁷¹

ცალსახაა, რომ მთავრობის განკარგულებების საფუძველზე კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციის უწყვეტი და მზარდი დაფინანსების პრაქტიკა, სახელმწიფო რესურსების არაჯეროვან განკარგვასა და სეკულარობის პრინციპის უგულებელყოფაზე მიუთითებს, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ დასაფინანსებელ ადრესატთაგან, ყველაზე მსხვილი სახსრები პირდაპირ საპატრიარქოსა და იმ დაწესებულებებისთვის იქნა განკუთვნილი, რომელიც მჭიდრო კავშირშია საპატრიარქოსთან და მისივე იურიდიულ მისამართს იზიარებს.

3. 2020-2024 წლებში ოთხი რელიგიური თემის დაფინანსების პრაქტიკის მიმოხილვა

ოთხი რელიგიურ გაერთიანების დაფინანსება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილების საფუძველზე, ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიური გაერთიანებები საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ყოველწლიურად ფინანსდება.


თანხების გადაცემის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო თითოეულ ორგანიზაციასთან ყოველწლიურად აფორმებს საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც მათთვის კომპენსაციის სახით გადაცემული თანხების, წინასწარ, სააგენტოს მიერ დადგენილი მიზნობრიობისამებრ ხარჯვის ვალდებულებას ადგენს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსაგან საბჭოთა ტოტალური რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ოთხივე რელიგიური ორგანიზაციის 2020-2024 წლების ხელშეკრულებები გამოითხოვა და დაადგინა, რომ ბოლო ხუთ წელიწადში, მუსლიმი, იუდეური, რომაულ-კათოლიკური თემისა და სომხური სამოციქულო ეკლესიისათვის მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ჯამში **26,500,000** ლარი გამოიყო.

⁷⁰საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 მარტის განკარგულება N375.

⁷¹ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zrsKZwSY>

2020-2024 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მუსლიმი თემის დაფინანსების პრაქტიკა



დანართი №9


ოთხ რელიგიურ ორგანიზაციას შორის, დაფინანსების ყველაზე დიდი წილი, 16,350,000 ლარი, მუსლიმი თემისთვის იქნა განკუთვნილი.⁷²

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილების საფუძველზე 2020-2024 წლებში რომაულ-კათოლიკურ თემს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 3,100,000 ლარი გადაეცა, რაც წლების მიხედვით, შემდეგნაირად იქნა გადანაწილებული: 2020 წელი – 550,000 ლარი; 2021 წელი – 550,000 ლარი; 2022 წელი – 650,000 ლარი; 2023 წელი – 650,000 ლარი; 2024 წელი – 700,000 ლარი.⁷³

⁷²2020-2024 წლების ხელშეკრულებები N1 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მუსლიმ თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ.

⁷³2020-2024 წლების ხელშეკრულებები N1 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს რომაულ-კათოლიკურ თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ.

2020-2024 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან რომაულ-კათოლიკური თემის დაფინანსების პრაქტიკა




დანართი №10

სომხური სამოციქულო ეკლესიის თემს ბოლო ხუთ წელში, 4,700,000 ლარი გადაეცა. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სომხური სამოციქულო ეკლესიის თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებების მიხედვით, სომხური სამოციქულო ეკლესიის თემისათვის 2020 წელს 800,000 ლარი იქნა გათვალისწინებული, 2021 წელსაც – 800,000 ლარი, 2022 წლისათვის დაფინანსება გაიზარდა და 1,000,000 ლარი შეადგინა, ისევე როგორც, 2023 წელს. 2024 წელს კი დაფინანსებამ, 1,100,000 ლარს მიაღწია.⁷⁴

⁷⁴2020-2024 წლების ხელშეკრულებები N1 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სომხური სამოციქულო ეკლესიის თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ.


2020-2024 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სომხური სამოციქულო ეკლესიის თემის დაფინანსების პრაქტიკა



დანართი №11

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ყველაზე მცირე დაფინანსებას იუდეური თემი იღებს. 2020-2024 წლებში მას მხოლოდ 2,350,000 ლარი გადაეცა.⁷⁵

2020-2024 წლებში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან იუდეური თემის დაფინანსების პრაქტიკა



დანართი №16

⁷⁵2020-2024 წლების ხელშეკრულებები N1 საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს იუდეურ თემს შორის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ.

ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსება ბოლო ხუთ წელიწადში მხოლოდ ორჯერ, 2022 და 2024 წლებში 1 მილიონი ლარით (ჯამში 2 მილიონი ლარით) გაიზარდა. ნამატი თანხა, რელიგიურ გაერთიანებებზე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საკუთარი შეხედულებისამებრ გაანაწილა.⁷⁶ თუმცა, საპატრიარქოსთან შედარებით, ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების ზრდის მაჩვენებელი მინიმალურია.

მიუხედავად იმისა, რომ, ოთხი რელიგიური ორგანიზაცია, ოფიციალურად საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ფინანსდება, მათი დაფინანსების პრაქტიკა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, არა კომპენსაციის, არამედ პირდაპირი სუბსიდირების მოდელს წარმოადგენს. თუმცა, მათ მიერ მიღებული საბიუჯეტო სახსრები, მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, რადიკალურად მცირეა. ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო აღნიშნული რელიგიური გაერთიანებებისთვის გაცემული ფინანსების მიზნობრიობასა და ხარჯვას დეტალურად აკონტროლებს. სახელმწიფოს გააჩნია სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსების ხარჯვის რეალური სახელშეკრულებო სამართლებრივი კონტროლის მექანიზმი.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსაგან საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების ხელშეკრულებები აჩვენებს, რომ ოთხივე რელიგიური ორგანიზაციისათვის განკუთვნილ თითოეულ ტრანსფერს, თან ახლავს სახელშეკრულებო ანგარიშგება, რომელიც თანხების გახარჯვის მიზნობრიობას აზუსტებს. ანგარიშგებების მიხედვით, ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება უმეტესად კომუნალური ხარჯებისა და თანამშრომელთა ხელფასებისთვისაა განკუთვნილი.

2020-2024 წლებში ოთხი რელიგიურ გაერთიანების დაფინანსება სხვა საბიუჯეტო სახსრებიდან

ნიშანდობლივია, რომ სხვა სახელმწიფო წყაროებიდან ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის გამოყოფილი დახმარების წილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალკომპონენტთან დაფინანსებასთან შედარებით მინიმალურია და უმეტესად, მათი დაფინანსების საჭიროება, საბიუჯეტო დადგენილებებსა და პროექტებში დეკლარაციულადაც კი არ არის აღნიშნული.

32 მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციისა და 37 მუნიციპალიტეტის საჯაროდ ხელმისაწვდომი საბიუჯეტო დადგენილების ანალიზმა აჩვენა, რომ ოთხი

⁷⁶სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2024 წლის 2 ოქტომბრის პასუხი N 1/724 ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ განცხადებაზე.

რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება, მხოლოდ ორი მუნიციპალიტეტის (მარნეულისა და თბილისის) ოფიციალურ საბიუჯეტო დოკუმენტაციაშია გათვალისწინებული, თუმცა ორივე შემთხვევაში, თანხის გადაცემის რეალური ფაქტებისა და დაფინანსების ოდენობის დადგენა შეუძლებელია. მაგალითისათვის, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების საბიუჯეტო დადგენილების მიხედვით, გარკვეული თანხები განისაზღვრა კომუნალური გადასახადებისათვის, რომელშიც ეკლესია-მონასტრებთან ერთად, მეჩეთების კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაც იყო გათვალისწინებული.⁷⁷ არაერთი მცდელობის მიუხედავად, მარნეულის მუნიციპალიტეტმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხი არ დააბრუნა, შესაბამისად, სეგრეგირებული სახით მეჩეთების კომუნალური გადასახადებისათვის გაცემული რეალური ფინანსური სახსრების დადგენა შეუძლებელი გახდა. იდენტური ბუნდოვანი ჩანაწერია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტების პროექტებით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამების შესახებ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციებშიც – თბილისის ათი რაიონიდან, მხოლოდ საბურთალოს რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაშია მითითებული, რომ რაიონის ტერიტორიაზე მუსლიმთა სამლოცველო სახლი მდებარეობს, რომელიც მიმართვის შემთხვევაში 10,000 ლარით დაფინანსდება. თუმცა 2020-2024 წლების თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველწლიური შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ დანართებში არც ერთხელ არ არის აღნიშნული მუსლიმთა სამლოცველო სახლის მუნიციპალური დაფინანსების ფაქტი.⁷⁸

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით, 2023 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ოთხ რელიგიურ ორგანიზაციას ჯამში, 27,671 ლარი გადაეცა.⁷⁹ მაშინ როდესაც, იმავე წელს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მუნიციპალიტეტებმა 6,126,274 ლარი გამოყვეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ოთხი რელიგიური ორგანიზაციის მუნიციპალური დაფინანსების ფაქტები, 32 მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ საჯარო ინფორმაციასა და 37 მუნიციპალიტეტის საჯაროდ ხელმისაწვდომი საბიუჯეტო დადგენილების შესწავლისას, *სოციალური სამართლიანობის ცენტრისათვის* ხელმისაწვდომი არ გამხდარა, რაც მიანიშნებს, რომ ამ რელიგიური ორგანიზაციების მუნიციპალური დაფინანსება ფრაგმენტულ და არასისტემატიზებულ ხასიათს ატარებს და არ ასახავს ადგილობრივი რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერის რეალურ ნებას.

მუნიციპალური დაფინანსების მიღმა, 2020-2024 წლებში მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის კულტურისა და განათლების

⁷⁷მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტები, „პროგრამული კოდი 05 02 04.

⁷⁸ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020-2024 წლების ბიუჯეტების პროექტებით განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები, დანართი N1.

⁷⁹ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „მუნიციპალიტეტების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება - 2023 წლის მუნიციპალური დაფინანსების პრაქტიკა, გვ. 13, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mrs1AdpY>

სამინისტროებს არ დავალებიათ ამ ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული დაწესებულებებისა და მათი კულტურული მემკვიდრეობების დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა.

ამრიგად, ცალსახაა, რომ ოთხი რელიგიური გაერთიანების სახელმწიფო დაფინანსება ძირითადად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს მოიცავს და მათთვის სხვა ფორმით მატერიალური მხარდაჭერა პრაქტიკულად არ ხდება.

დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა არ აკმაყოფილებს სეკულარული, დემოკრატიული, არადისკრიმინაციული და ანგარიშვალდებული სახელმწიფოს მოთხოვნებს.

2020-2024 წლებში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდებოდა. 2020-2024 წლებში იგი ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან და მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სულ **283,312,365** ლარით დაფინანსდა, საიდანაც – 124,926,800 ლარი, ცენტრალური ბიუჯეტით იქნა გათვალისწინებული. 122,785,284 ლარი მთავრობის ცალკეული განკარგულებების საფუძველზე იქნა გამოყოფილი. მართლმადიდებელ ეკლესიას 2020-2024 წლებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებით 28,319,430 ლარი გადაეცა, ხოლო 7,280,853 ლარი, ქალაქ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტებით განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველზე გამოეყო.

მაშინ, როდესაც ოთხი რელიგიური გაერთიანებისათვის, ბოლო ხუთ წელიწადში, მხოლოდ **26,527,671** ლარი იქნა გათვალისწინებული.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო დაფინანსება, **121%-ით** გაიზარდა. იმავე წლებში, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსება ჯამში, **44%-ით** გაიზარდა.

მწირი დაფინანსების მიღმა, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის სახელმწიფო დაფინანსების კონტექსტში რელევანტურია ისიც, რომ მოქმედი მოწესრიგება, სრულად ახდენს ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მიზნობრიობისა და ხარჯვის კონტროლს – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ოთხ რელიგიურ ორგანიზაციასთან, ყოველწლიურად აფორმებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც მათთვის კომპენსაციის სახით გადაცემული თანხების წინასწარ, სააგენტოს მიერ დადგენილი მიზნობრიობისამებრ ხარჯვის ვალდებულებას ადგენს.

მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს საპატრიარქო აშკარა პრეფერენციებით სარგებლობს, რაც ხშირად საჯარო ინტერესით არ არის დასაბუთებული, დაფინანსების მასშტაბი არ ეფუძნება გონივრულ, გაზომვად და ობიექტურ კრიტერიუმებს. დაფინანსების არსებულმა პრაქტიკამ, კონსტიტუციური შეთანხმების ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ზიანის ანაზღაურების ნაცვლად პირდაპირი სუბსიდირების ფორმა მიიღო, რაც თავის მხრივ, რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის არადემოკრატიული ფორმაა, რადგან ის დაფინანსების ოდენობას და პირობებს ხელისუფლების შიშველ პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებულს ხდის და ეკლესიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მაღალ რისკებს აჩენს.

საპატრიარქოს მიერ ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსები ასევე არ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან შემოწმებისა და ანგარიშვალდებულების არანაირ მექანიზმს, რაც ორმაგად ზრდის ამ რესურსების არაჯეროვანი მიზნებით გამოყენების რისკებს. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელში განსაკუთრებით პრობლემურია დაფინანსების მიზნობრიობის დასაბუთებულობისა და გამჭვირვალობის საკითხი. უცნობია, თუ რა მიზნებისთვის იხარჯება საპატრიარქოსთვის გამოყოფილი სუბსიდიის დიდი ნაწილი.

საპატრიარქოს დაფინანსების ამგვარი რადიკალური ზრდა გონივრულ ეჭვს ბადებს, რომ ის საბოლოოდ, პოლიტიკურ მიზანს ატარებს და დაფინანსებას, ეკლესიის ლოიალობის და საბოლოოდ რელიგიური სენტიმენტების მობილიზებით ელექტორალური მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება, რაც ეწინააღმდეგება პოლიტიკის დემოკრატიული ლოგიკით წარმოების იდეასა და სეკულარობის სამართლებრივ პრინციპს.